სსიპვაჟა-ფშაველასქალაქ თბილისის N87 საჯარო სკოლა

ქალაქითბილისი, ქათევან წამებულის N90/2-შიმდებარე სკოლის
სარემონტოსამუშაოებისგამარტივებულიელექტრონული
ტენდერის

სატენდეროდოკუმენტაცია
CPV: 45400000

წინამდებარესატენდეროდოკუმენტაციაშედგენილია „სახელმწიფოშესყიდვების შესახებ“ საქართველოსკანონისმე-12[1] მუხლის, “გამარტივებულიშესყიდვის, გამარტივებულიელექტრონულიტენდერისადაელექტრონულიტენდერის ჩატარებისწესისდამტკიცებისშესახებ“ სახელმწიფოშესყიდვებისსააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებისსაფუძველზე

თბილისი 2015 წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

4. დანართი N1

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.

1.2. ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5. სატენდერო პროცედურების განხორციელების ეტაპზე სუბკონტრაქტორ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იქნას პრეტენდენტსა და სუბკონტრაქტორ(ებ)ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ები)ა.

1.6. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.7. პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია:

2.1. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები:

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრედენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი
დოკუმენტები:

2.1.1. იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

2.1.2. ფიზიკური პირებისათვის:
ა) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.
ბ) ფიზიკური პირის პირადობის მოწმობის ასლი.

2.2. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს:
ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის 2 მუხლის პირველი ჩატარების წესის" მე-პუნქტის „ლ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე არაუგვიანეს ოცდაათი დღისა.

2.3. ამ პუნქტის 2.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილ უნდა იქნეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში ატვირთვის გზით, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.
პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და

ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

3. ტექნიკური დავალება:

ქალაქი თბილისი, ქრთევან დედოფლის N90/2-ში მდებარე სკოლის სარემონტო სამუშაოები წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N2-ის შესაბამისად (ფასების ცხრილი).

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება: **4039,72 (ოთხი ათას ოცდაცხრამეტი ლარი 72 თეთრი)** ლარი დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

შენიშვნა:

1. სამუშაოების შესრულებისას გამოყენებული სხვადასხვა მასალები და მოწყობილობები უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

2. მიმწოდებელმა მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვერის გავლენა, აგრეთვე შეასრულოს სამუშაოები უსაფრთხო ზომების დაცვით და ეკოლოგიურად მისაღები გზით.

3. სამუშაოების შესრულებამდე ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მასალების და მოწყობილობების გამოყენების საკითხი, უნდა შეათანხმოს შემსყიდველთან. აღნიშნული შეთანხმება შეიძლება განხორციელდეს როგორც წერილობით, ასევე მის გარეშე.

4. პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს ფასები ხარჯთაღრიცხვის ჩამონათვალში მოცემულ სამუშაოთა ყველა სახეობაზე. ხარჯთაღრიცხვაში განუფასებელი ან ნულით განფასებული სამუშაოები შემსყიდველის მიერ არ ანაზღაურდება და ჩაითვლება, რომ ეს სამუშაოები დაიფარება სხვა სამუშაოების ხარჯზე.

5. პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს გაუთვალისწინებელი ხარჯი იმ პროცენტული ოდენობით, რა პროცენტული ოდენობაც მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციის ხარჯთაღრიცხვაში.

6.სმაშენებლო-სარემონტო სამუშაოები ჩაითვლება საბოლოოდ შესრულებულად სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება და დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, რის საფუძველზეც მოხდება საბოლოო ანგარიშსწორება.

7. სამუშაოები შესრულებულ უნდა იქნას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

3.1. ანგარიშსწორების პირობები:

3.1.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

3.1.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით, ლარში.

3.1.4. შესყიდვისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას წინასწარი გადახდის მექანიზმი.

3.1.5. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოადგინოს ავანსის სახით გადასახდელ თანხაზე (არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 50%) საავანსო საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას.

3.2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები და ფასების ცხრილი მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართის სახით და ატვირთულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

3.2. მიწოდების პირობები და ვადები:

3.2.1. წარმოდგენილი პირობებისა და ვადების ფარგლებში მიმწოდებელმა საბოლოო დასრულებული სახით შემსყიდველს უნდა გადასცეს შესრულებული სამუშაოები, შესრულებული სამუშაოების აქტები (ფორმა 2).

3.2.2. სამუშაოს შესრულების ადგილია - ქალაქი თბილისი, ქეთევან წამებულის N90/2.

3.2.3. სარემონტო სამუშაოთა შესრულებისა და შესრულებულ სამუშაოთა ჩაბარების საბოლოო ვადაა მხარეთა შორის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი)კალენდარული დღე;

3.3. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

ა) რეკვიზიტები დანართი N1–ის მიხედვით.

ბ) შესასრულებელი სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა, თანმდევი ხარჯების ჩათვლით. ხარჯთაღრიცხვის ფორმა მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართის სახით და ატვირთულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

ე) შესასრულებელი სამუშაოს კალენდარული გეგმა-გრაფიკი, რომელშიც სრულად უნდა იყოს ასახული კონკრეტული სამუშაოების მიმდინარეობა და ერთმანეთისადმი თანხვედრა, განსახორციელებელი სამუშაოების დაგეგმილი ვადები და თანმიმდევრობა შესასრულებელი სამუშაოების სპეციფიკის და სირთულეების გათვალისწინებით (შესაძლებელია დაზუსტდეს ხელშეკრულების გაფორმების პროცესში).

4. დამატებითი ინფორმაცია:

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის N90/2, საკონტაქტო პირი: არსენი ხვინგია: 577332113.

/ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში/

ხელშეკრულება №--

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი _____,2015 წ

ერთის მხრივ, სსიპ ქალაქ თბილისის N__ საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის _____სახით და მეორეს მხრივ,_____ (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილიმისი დირექტორის _____ სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოსკანონისმე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ პუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია შენობის დასრულების სამუშაოების(შემდგომში „სამუშაო“) შესყიდვაამხელშეკრულებითგათვალისწინებულიანაზღაურებისსანაცვლოდ(CPV კოდი 45400000).

1.2. შესასრულებელი სამუშაოების აღწერა და მოცულობა განისაზღვრება ხარჯთაღრიცხვით, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. სამუშაოების(ხელშეკრულების) საერთო ღირებულება შეადგენს ____(თანხა სიტყვიერად) ლარს.

2.2.სამუშაოების საერთო ღირებულება მოიცავსსამუშაოების შესყიდვასთანდაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

2.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

2.4.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ორ ეტაპად:

2.4.1. მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით დადგენილი წესით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი საგადახდო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან **5 სამუშაო დღის ვადაში.**

2.4.2. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება სამუშაოების დასრულების შემდგომ ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით დადგენილი წესით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი საგადახდო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 4. სამუშაოების შესაბამისობა და მიღება-ჩაბარებისაქტის გაფორმების წესი

4.1. მიმწოდებლის მიერ შესასრულებელი სამუშაოების და გამოყენებული მასალების ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს შესრულებელი სამუშაოს პროექტს და საქართველოში მოქმედ წესებსა და

ნორმებს.
4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.
4.3. მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.4. მიღება-ჩაბარების აქტის გასაფორმებლად მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს სამუშაოების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტაციას.
4.5. სამუშაოების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველი ატარებს სამუშაოების შემოწმებას, რისი მიზანიც არის შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის დადგენა შესმსყიდველის მოთხოვნებთან, დამტკიცებულ პროექტთან და არსებულ სტანდარტებთან. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი დეფექტის და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
4.6. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტაციის და შემოწმების შედეგების საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება ან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უარის თქმა უნდა განხორციელდეს შემოწმების დასრულებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში.
4.7. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების სრულად შესრულების შემდეგ, სამუშაოების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტაციისათან ერთად შემსყიდველს წარმოუდგინოს ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა.

მუხლი5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
გ) მოსთხოვოს მიმწოდებელს შემოწმების ან/და კონტროლის შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი დეფექტის და ნაკლის აღმოფხვრა საკუთარი სახსრებით.
5.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) ხელი არ შეუშალოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში;
ბ) აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით და პირობებით.
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით და პირობებით.
5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) სამუშაოების შეასრულოს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.
ბ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში საკუთარი სახსრებით

აღმოფხვრას ნებისმიერი სახის ნაკლი და დეფექტი;
გ) შეასრულოს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ასევე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

მუხლი 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს სკოლის დირექტორი _____.
6.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს სამუშაოების ხარისხის კონტროლი.
6.3. კონტროლის შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი დეფექტის და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა და პირგასამტეხლო

7.1. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას მის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან სამწლიან გარანტიაზე და დეფექტის წარმოშობის შემთხვევაში საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გამოვლენილი წუნის საკუთარი სახსრებით აღმოფხვრაზე.
7.2. ამ ხელშეკრულების 7.1. პუნქტით განსაზღვრულ საგარანტიო ვადაში შემსყიდველის მიერ წუნის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებული ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებით დადგენილ ვადებში მოახდინოს წუნის გამოსწორება.
7.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.3%-ის ოდენობით, ხოლოვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.3%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში,მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების0.3%-ის ოდენობით.
7.4. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

7.5. ამ ხელშეკრულების 7.2. პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელსეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.
7.6. ვადაგადაცილებულ დღეებზე პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 8. ფორსმაჟორი
8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა,

აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა
9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ხელმოწერებით დადასტურებული შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
9.3. ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულებას;
გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.4. ერთ-ერთიმხარის ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთვევაში, აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს გონივრულ ვადაში, ხელშეკრულების შეწყვეტამდე არაუგვიანეს 3 დღით ადრე.

მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი
10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
10.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 11. შეტყობინება
11.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
11.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 12. გადასახადები და დაბეგვრა
მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 13. ხელშეკრულების ენა
ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 14. სამუშაოს შესრულების და ხელშეკრულების მოქმედების ვადები
14.1. სამუშაოების მიწოდების ადგილია სსიპ ქალაქ თბილისის N___საჯარო სკოლა

(მისამართი);
14.2. მიმწოდებლის მიერ სამუშაოები უნდა შესრულდეს არაუგვიანეს 2015 წლის _____სა.
14.3. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31დეკემბრამდე.

მუხლი 15. სხვა პირობები
15.1 მიმწოდებელს არ აქვს უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.
15.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და ვადების გადაცილებით შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს პირგასამტეხლოს სახით დაქვითოს ხელშეკრულების ღირებულებიდან შესაბამისი თანხა.

მუხლი 16. მხარეთა რეკვიზიტები.

მიმწოდებელი	**შემსყიდველი**
_____	_____
მისამართი:	**მისამართი:**
ტელეფონი:	**ტელეფონი:**
საიდენტიფიკაციო კოდი:	**საიდენტიფიკაციო კოდი:**
საბანკო რეკვიზიტები:	**საბანკო რეკვიზიტები:**
ბანკის დასახელება:	**ბანკის დასახელება:**
ბანკის კოდი:	**ბანკის კოდი:**
ანგარიშსწორების ანგარიში:	**ანგარიშსწორების ანგარიში:**
დირექტორი	**დირექტორი**
---	---
ბ.ა	ბ.ა

1. **რეკვიზიტები:**

- პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
- პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
- საიდენტიფიკაცი ოკოდი:
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:
- ელექტრონული მისამართი:
- ბანკის რეკვიზიტები
- ბანკის დასახელება:
- ბანკის კოდი:
- ანგარიშის ნომერი:

- სატენდერო წინადადების ფასი (დღგ-ს ჩთვლით):

_____

პრეტენდენტის დასახელება

პრეტენდენტის ხელმოწერა_____